

საქართველოს კანონი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები – ორდენები და მედლები:

- ა) ეროვნული გმირის ორდენი;
- ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი;
- გ) დავით აღმაშენებლის ორდენი;
- გ¹) თამარ მეფის ორდენი; *(31.07.2009 N 1553)*
- გ²) ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი; *(31.07.2009 N 1553)*
- გ³) წმინდა ნიკოლოზის ორდენი; *(31.07.2009 N 1553)*
- დ) ოქროს საწმისის ორდენი;
- ე) ვახტანგ გორგასლის ორდენი – I, II, III ხარისხისა;
- ვ) ღირსების ორდენი;
- ვ¹) მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“; *(18.06.2010 N 3110)*
- ზ) მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;
- თ) მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“;
- ი) ღირსების მედალი.
(24.06.2004 N 217)

2. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულებას საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს დადგენილებით. *(31.07.2009 N 1553)*

3. დაწესდეს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე ერთდროული ფულადი პრემია: *(18.06.2010 N 3110)*

- ა) ეროვნული გმირის ორდენზე – 10 000 ლარი;
- ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე – 6 000 ლარი;
- გ) დავით აღმაშენებლის ორდენზე – 4 000 ლარი;
- დ) თამარ მეფის ორდენზე – 1 000 ლარი;
- ე) ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენზე – 1 000 ლარი;
- ვ) ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე – 2 000 ლარი;
- ზ) ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე – 1 000 ლარი;
- თ) ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე – 600 ლარი;
- ი) ღირსების ორდენზე – 600 ლარი;
- კ) მედალზე „სამოქალაქო თავდადებისათვის“ – 1 000 ლარი;
- ლ) მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“ – 400 ლარი.

3¹. ამ კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. (27.04.2010 N 3026)

4. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ერთდროული ფულადი პრემია გადაეცემა დაჯილდოებული პირის მემკვიდრეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით.

5. მედლით "მხედრული მამაცობისათვის" სამჯერ დაჯილდოებულ პირს გადაეცემა პრეზიდენტის სამახსოვრო საჩუქარი.

6. დავით აღმაშენებლის ორდენით, ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებული პირი სარგებლობს:

ა) დადგენილი წესით ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი ტრანსპორტით სახელმწიფოს ხარჯზე მგზავრობის უფლებით;

ბ) კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს ხარჯზე სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით. (28. 10.97. N1008 პრალემენტის უწყებანი N45)

7. ამ კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცეს იმ პირებზე, რომლებიც:

ა) დაჯილდოვდებიან 2003 წლის 1 იანვრიდან;

ბ) მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის – აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში და დაჯილდოვდნენ საბრძოლო მოქმედებებში გამორჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის; (20.04.2005 N 1339)

გ) დაჯილდოვდნენ სიკვდილის შემდეგ. (29.01.2003 N1951)

8. ამ კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემია იმ პირებზე, რომლებიც მითითებულნი არ არიან ამ კანონის მე-7 პუნქტში, გაიცეს 2006 წლის 1 იანვრიდან. (29.12.2004 N 855)

თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური

ე.შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვ.გოგუაძე.

თბილისი,
1992 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფო
ჯილდოების - ორდენებისა და მედელების
დებულება

ამოღებულია (31.07.2009 N1554)